პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი 15 მარტი 1978 წ. № 62 (17106) ფასი 2 კაპ.

ხუთწლედის აღამიანები



1977 წელს მოპოვებული წარმატებებისათვის საკავშირო გარღამავალი წითელი დროშის მიღების — შრომის ეხოდენ მაღალი შეფასების პასუხად „ჭიათურმანგანუმმშენის“ № 8 სამშენებლო ტრესტის კოლექტივმა კიდევ უფრო მაღალი მიჯნები დაიისახა მეათე ხუთწლედის მესამე წელს.

ხერხთან: „ჭიათურმანგანუმმშენის“ № 8 სამშენებლო ტრესტის უბნის უფროსი ავთანდილ ჩიკურიძე (ცენტრში) დავალებას აძლევს მშენებლებს: აკაკი მოღებაძესა და შოთა ქუჭრიშვილს.

ა. მაჰპარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სკკპ ცენტრალური კომიტეტში

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ოლქის საწარმოებში და მშენებლობებზე სათბობი და ენერგეტიკული რესურსების მომჭირნეობისათვის სკკპ კემეროვოს საოლქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის საკითხი.

მილებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ კემეროვოს საოლქო პარტიული ორგანიზაცია, შრომითი კოლექტივები, რომლებიც ხელმძღვანელობენ პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, აბსარა ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებით, დიდ მუშაობას ეწევიან სათბობ-ენერგეტიკული რესურსების უფრო რაციონალური და ყაირათიანი გამოყენებისათვის. ეს დადებითს გავლენას ახდენს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე, ოლქის შემდგომ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე.

მიმღინარე ხუთწლედის დამდეგიდან ოლქის საწარმოებში, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, კომუნალურ მეურნეობაში ნორმებისა და საგეგმო დავალებების გადაჭარბებით დაიზოგა დიდძალი სათბობი. ელექტრო-და თბოენერგია. ამ მუშაობის დიდმნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ მას მასობრივი ხასიათი აქვს, წარმოებს ყოველდღიურად და მიზანმიმართულად პოლიტიკური და ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების კომპლექსური გეგმის შესაბამისად, რომელიც ამ ხაკითხზეა შეშუშავებული. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები დღენიადაგ ავითარებენ და ყოველნაირია უმერენ მხარს პირველი პარტიული ორგანიზაციების, საწარმოო კოლექტივების შემოქმედებითს აქტიურობას ყველა სახეობის ენერგეტიკული რესურსების დაზოგვის რეზერვებისა და შესაძლებლობების გამოვლენასა და უფრო სრულ ჯამოყენებაში. ამ საკითხების გადაწყვეტისათვის წარმართავენ სოციალისტურ შეჯიბრებას. პრაქტიკულად ყველა შრომითს კოლექტივს აქვს სათბობის, ელექტრო-და თბოენერგიის ხარჯვის შემცირების კონკრეტული ვალდებულებანი. 500 ათასზე მეტ მშრომელს აქვს მომჭირნეობის პირადი ანგარიშები. ოლქის სამრეწველო საწარმოებში ფართოდ დაუჭირეს მხარი დახავლეთ ციმბირის მეტალურგიული ქარხნის მშრომელთა ინიციატივას წარმოების ყველა პროცესში სათბობისა და ენერგიის ხარჯვის საპროექტო ნორმების მიღწევის ვალდებულ შემცირებისათვის.

პარტიულმა კომიტეტებმა საწარმოების, ორგანიზაციების, სამეცნიერო და საპროექტო ინსტიტუტების სპეციალისტებთან ერთად, დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაზღვრეს სათბობენერგეტიკული რესურსების დაზოგვის გადამწყვეტი მიმართულებანი როგორც მთი მოპოვებისა და წარმოების, ისე მოხმარების დროს. კუზნეცკის შახტებში, ჭრილობა და გამამდიდრებელ ფაბრიკებში მოუგია და ინყინერ-ტექნიკური შუშაკები თავიანთ მეცადინეობას ახმარენ წიალიდან ქვანახშირის უფრო სრულ ამოღებას, მისი მოცულობის გადიდებასა და გამდიდრების ტექნოლოგიის სრულყოფას. ამან ხელი შეუწყო ქვანახშირის დანაკარგების შემცირებასა და სათბობის ხარისხის გაუმჯობესებას.

სათბობისა და ენერგიის მოხმარების სფეროში ხორციელდება დიდი ერთიანი ხიმძლავრის ეკონომიური მოწყობილობისა და აგრეგატების დანერგვის, წარმოების კონცენტრაციის, ენერგეტიკული მეურნეობის რეკონსტრუქციის სამუშაოები, რაც ამცირებს ენერგორესურსების ხარჯვის ერთეული პროდუქციის გამოშვებაზე. ელექტროსადგურებში, რაიონულ საქვაბეებში წარმოებს მოწყობილობის გეგმიანი მოდერნიზაცია, უმჯობესდება ელექტრო-და თბოენერგიის გადაცემის სქემები, ფართოვდება ნაკლებად დეფიციტური ქვანახშირის გამოყენება. ამის შედეგად სათბობის ხვედრითი ხარჯვა ბელოოოსა და ტომ-უსინსკის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურებში შემცირებულია საპროექტო მარგენებლებთან შედარებით და საუკეთესო შედეგია ქვეყნის ანალოგიურ ელექტროსადგურებს შორის.

პარტიის საოლქო კომიტეტი, ბევრი საქალაქო და რაიონული კომიტეტი გულმოდგინეკი იღვწიან იმისათვის, რომ განსაკეთონ დისციპლინა სათბობის, ელექტრო-და თბოენერგიის მოხმარებაში, ამაალონ სამეურნეო ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა მისი დაზოგვის დადგენილ დავალებათა შესრულებისათვის, გააძლიერონ პარტიული კონტროლი და პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი ამ საქმეში. მოჭიერნეობის რეჟიმის საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაში, პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ყველა რგოლში, სისტემატურად შუქდება ადგილობრივ პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით, თვალსაჩინო აგიტაციით, გათვალისწინებულია დამრიგებლობის პრაქტიკაში, მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დროს.

ამავე დროს დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიის კემეროვოს საოლქო კომიტეტი ჯერ კიდევ მთლიანად ვერ იყენებს ბარების შესაძლებლობებს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვისათვის მუშაობაში. ოლქში ბევრი საწარმო და ორგანიზაციაა, რომლებიც ზედმეტად ხარჯავენ სათბობსა და ელექტროენერგიას, არ იყენებენ მთლიანად მეორეულ სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებს. ჯერ კიდევ არის სათბობის მნიშვნელოვანი დანაკარგები იმის შედეგად, რომ უყაირათობას იჩენენ სათბობის შენახვისა და ტრანსპორტირების დროს, შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მუშაობისათვის ფრთხილად არ ემზადებიან საწარმოები, და სხვა მიზეზების გამო.

დადგენილებაში უყურადღება ეთმობა იმას, რომ ზოგიერთი სამინისტრო და სრულიად საკავშირო სამრეწველო გაერთიანება ჯეროვნად არ სწვდება საქვეუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებს, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტების საქმიანობას იმ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში, რომლებიც უზრუნველყოფს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნედ ხარჯვას. მთელ რიგ დარგებში სათანადო ყურადღება არ ეთმობა სათბობისა და ენერგიის მოხმარების აღრიცხვისა და კონტროლის სისტემის შემდგომ სრულყოფის, მათი ხარჯვის ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების შემუშავებისა და ყველგან გამოყენების საკითხებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა კემეროვოს საოლქო პარტიული ორგანიზაციის მუშაობა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვის უზრუნველყოფაში საწარმოო კოლექტივებს შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტიურობის განვითარებისათვის. სკკპ ცენტრალურ კომიტეტს ეს მიაჩნია წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების, სათბობსა და ენერგიაზე სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილებების უფრო სრული დაკმაყოფილების, 1978 წლის გეგმის, ხუთწლედის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების მნიშვნელოვან პირობად.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ ახლემძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის დადგენილებები, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში ჩამოყალიბებული დებულებებითა და დასკვნებით და კიდევ უფრო სრულყონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ფორმები და მეთოდები, რათა გააძლიერონ სათბობისა და ენერგიის დაზოგვის ხაგეგმო დავალებათა უოუო შესრულება, მტკიცედ აღმოფხვრან მათს გამოყენებაში უყაირათობის, მფლანგველობისა და ყოველგვარი ზედმეტობის გამოვლინების ფაქტები. მიაღწიონ, რომ ეს მუშაობა ჩვენი კადრების, მუშების, კოლმეურნეების, სპეციალისტების, ყველა მშრომელის ყოველდღიური საქმე გახდეს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა სამინისტროებს, უწყებების, გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელებს ხათავეში ჩაუდგნენ ბრძოლას იმისათვის, რომ ყაირათიანად, რაციონალურად იქნეს გამოყენებული ყოველივე ის, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას მოუპოვება, და ერთიანი მისი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი — სათბობ-ენერგეტიკული რესურსები. განსაკუთრებულ საგეგმო და საშემსრულებლო დისციპლინა სამეურნეო მშენებლობის ყველა უბანზე, განსაკუთრებულად დაიცვან სათბობის, თბო-და ელექტროენერგიის რესურსების, ნავთობპროდუქტების გადიდებისა და მათი ყაირათიანი ხარჯვის დავალებანი. შეიმუშაონ და განახორციელონ თითოეული სამინისტროში, უწყებაში, გაერთიანებაში, საწარმოში, მშენებლობაზე, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში საჭირო ღონისძიებანი, რომელიც ითვალისწინებს წარმოების ტექნიკურ სრულყოფას, ხარჯვის პროგრესული ნორმების გაფოფენებას, მეორეული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების უფრო სრულ უტილიზაციას. დღენიადაგ ამაალონ ამ საქმეში სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების როლი, დამპროექტებლებს, ტექნოლოგებსა და კონსტრუქტორებს ჩაუნერგონ მაღალმწარმოებლური და ეკონომიური ტექნოლოგიური პროცესების, მოწყობილობის და მექანიზმების შექმნისა და წარმოებაში მათი უსწრაფესი დანერგვისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა.

დიდ ეკაყოფილებას მანიჭებს შეფასებული პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალება და დღეს ხაპატიო ჯილდოები და წარჩინების ნიშნები გადაეცეს ხახელგანთქმულ და პატივცემულ მზდარმომაგრეებს.

მაღ შორის არიან სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, საბჭოთა კავშირის გმირი, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხანაგი კ. ხ. მოსკალენკო, რომელსაც გადაეცა ლენინის ორდენი და მეორე „ოქროს ვარსკვლავის“ medali, და საბჭოთა არმიისა და საპატიო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, არმიის გენერალი ამხანაგი ა. ა. ეპიშევი, რომელსაც მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ლენინის ორდენები მიენიჭათ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობათა მთავარსარდლებს—არმიის გენერალს ამხანაგ ი. გ. პავლოვსკიოს, ავიაციის მთავარ მარშალს ამხანაგ პ. ს. კუტახოვს, საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალს ამხანაგ ს. გ. გორშკოვს, საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ პ. ფ. ბატიცკისა და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებულ შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს, საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ ვ. გ. კულიკოვს.

ლენინის ორდენით დაჯილდოდა დიდი სამამულო ომის მრძოლების ვეტერანი, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხანაგი ვ. ი. ჩუიკოვი.

ლენინის ორდენი დაიმსახურა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ნ. ნოვიკოვმა.

შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა სკკპ ცენტრალური საარეოზოი კომისიის თავმჯდომარეს გ. თ. ხიზოვს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ხიგელი საბჭოთა კავშირის მარშალის ბრეჟნევის ეაოსაგან ადგრეთვე მთელ რიგ სხვა ამხანაგებს.

საბჭოთა კავშირის მარშლის მხედრული წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით მარშალის ეაოსაკვლავს იღებს ღღეს სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ამხანაგი ხ. ლ. სოკოლოვი.

ნება მიბოძეთ გულთბილად მივეულოცო ყველას, ვინც ღღეს სამშობლოს საპატიო ჯილდოებს, საბჭოთა ხალხის წინაშე დიდი ღვაწლის აღიარების ნიშნებს იღებს. გისურვებთ ყველას, ძეირფასო ამხანაგებო, ჯანმრთელობასა და ახალ დიდ წარმატებებს, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ კეალაც დირსეულად ემსახურებთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვის საქმეს, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

მინდა ადგრეთვე სულითა და გულითა მივეულოცო სკკპ ცენტრალური საარეოზოი კომისიის თავმჯდომარეს ამხანაგ გ. თ. ხიზოვს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხანაგ ვ. ნ. ნოვიკოვს, რომლებიც დაჯილდოდნენ ორდენებით კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და მათი ცხოვრების ხიიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით. გისურვებთ ახალ წარმატებებს, ამხანაგებო, თქვენს პასუხისგებ ხაქმეებში.

* * *

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის დასკვნებში შეკრებილნი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

ლენინის ორდენი და საბჭოთა კავშირის გმირის მეორე „ოქროს ვარსკვლავის“ medali გადაეცა საბჭოთა კავშირის მარშალს კ. ხ. მოსკალენკოს.

ლენინის ორდენები და საბჭოთა კავშირის გმირის „ოქროს ვარსკვლავის“ medali გადაეცათ ავიაციის მარშალს ფ. ა. ავალიანს, არმიის გენერალს ა. ა. ეპიშევს, გენერალ-პოლკოვნიკს ა. ს. ელეტოოვს, არმიის გენერალს მ. ი. კაზაკოვს, არმიის გენერალს ი. ნ. შკადოვს, ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკს ა. ე. ბაბაევს.

ლენინის ორდენი და სოციალისტური შრომის გმირის ოქროს medali „ნამგალი და უროთ“ გადაეცა გენერალ-ლეიტენანტ-ინჟინერს ა. გ. კარაოგლანოვს.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ლენინის ორდენები გადასცა გენერალ-პოლკოვნიკ-ინჟინერს ნ. ნ. ალექსეევს, არმიის გენერალს ა. ტ. ალტუნინს, საბჭოთა კავშირის მარშალს პ. ფ. ბატიცკის, საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალს ს. გ. გორშკოვს, საბჭოთა კავშირის მარშალს ვ. გ. კულიკოვს, ავიაციის მთავარ მარშალს პ. ს. კუტახოვს, არმიის გენერალს ი. გ. პავლოვსკის, საბჭოთა კავშირის მარშალს ვ. ი. ჩუიკოვს.

ლენინის ორდენი დაიმსახურა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ნ. ნოვიკოვმა.

შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა სკკპ ცენტრალური საარეოზოი კომისიის თავმჯდომარეს გ. თ. ხიზოვს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ხიგელი საბჭოთა კავშირის მარშლის ეაოსაკვლავის მიენიჭა ადგრეთვე ამ ხაკითხზეა ხელმოწერილი ბრძანებულებანი.

ჯილდოების გადაცემის დროს ამ ხაკითხზეა ხელმოწერილი ბრძანებულებანი.

ამ ხაკითხზეა ხელმოწერილი ბრძანებულებანი.

ჯილდოების გადაცემის დროს



დავამკვიდროთ მუშაობის ლენინური სტილი!

აქტივობის საათავე

კარტიის საქალაქო კომიტეტი მუშაობის ეფექტიანი ფორმების ძიებაში

ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის ხარატის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, კომუნისტ ვალერიან დოლიძის ცხოვრების გზა თანამედროვეს მუშის, კომუნისტისა და მოქალაქის სახელოვანი გზაა. ძან პროფესიონალური წრთობა პროფტექნიკური სასწავლებელში მიიღო და ქარხანა მისი მეორე ოჯახი გახდა. თავდადებულმა შრომამ საქვეყნოდ გაუთქვა მას სახელი, შემდეგ მისი შვილიც მამის გზას დაადგა. ასე იქმნება მუშური დინასტია.

რამდენი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება ჩვენი ქალაქის ცხოვრებიდან. სწორედ გ. დოლიძემ და მისმა ამხანაგებმა თავიანთი ძარღვმაგარი, დაკოქრილი ხელებით და გონებით შექმნეს ისეთი პროდუქცია, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთაც მიდის.

ცნობილია, რომ ყოველი საწარმოს, კოლექტივის წინსვლას მუდამ განაპირობებდა პარტიის წინასწარდასახულობანი. თანამედროვე ეტაპზე კი, როცა წინსვლის პერსპექტივებზე ვლაპარაკობთ, პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობა, თითოეული კომუნისტის საქმიანობა სწორედ იმის მიხედვით ფასდება, თუ რა გააკეთა მან სკკპ XXV ყრილობისა და პარტიის მომდევნო საპროგრამო გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

ამ მხრივ ბათუმის პარტიულ ორგანიზაციას აქვს სათქმელი. 1975-77 წლებში ბათუმის შრომელებმა ზედიზედ დაიმსახურეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, ხოლო აჭარის შრომელთა წარმატებებში, რომლებმაც ზედიზედ ხუთჯერ მოიპოვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშა, დიდი ბათუმელთა წვლილი. ალსანიშნავია რომ, ეი უკვე რვა თვეზე მეტია ქალაქში არ გვყავს არცერთი ჩამორჩენილი სამრეწველო საწარმო.

ახლა პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებით ზრუნავენ, რომ საწარმოებში შექმნან შემოქმედებითი ძიების ჯანსაღი ატმოსფერო, რაც ძალიერს რიზერვების მაგნებისა და მისი ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობებს

ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ მოიწონა ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა ბანკის პარტიული ორგანიზაციის მდივნის ანგარიშებს პარტიის რიგების ხარისხობრივ შევსებასა და ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდაზე განსაკუთრებულ ყურადღებას ეფიცეთ იმას, რომ საკანდიდატო სტაჟი გამოყენებული იყოს სკკპ წევრობის კანდიდატობა პოლიტიკური და საქმიანი თვისებების ჩამოსაყალიბებლად, მათი თეორიული ცოდნის დონის ასამაღლებლად. მსჯელი პარტიულ ორგანიზაციებში შექმნილია ახალგაზრდა კომუნისტთა სკოლა, სადაც თავისებურ მომზადებას გადიან არა მარტო სკკპ წევრობის კანდიდატები, არამედ ის ახალგაზრდებიც, რომელთაც სურთ პარტიის რიგებში შესვლა.

ამ მიზნით, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის დონე, საქალაქო კომიტეტის ბიუროს კომპლექსური საწარმოს ორგანიზაციების მუშაობას და დახმარებას უწევს მათ უშუალოდ ადგილებზე საქმის გაცნობითაც. ამ ღონისძიებებში ვაბამთ პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრებს, რომლებიც პარტიულ ორგანიზაციებს ეხმარებიან კრებების მომზადებასა და ჩატარებაში, სხვა აქტუალური საკითხების გადაწყვეტაში. ბოლო დროს მოეთმინეთ ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის, თეფსაცმელების ფაბრიკის, ელექტრომექანიკურ და საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებელი ქარხნების პარტიული ორგანიზაციების მდივნების ანგარიში გაწეული მუშაობის ირგვლივ.

მაგრამ ჩვენი ღონისძიებები ყველა შემთხვევაში როდი აღწევს მიზანს, ყველა პარტიულ ორგანიზაციაში როდი გვაქვს სასურველი მდგომარეობა. თამბაქოს თაბრიკაში (პარტიული ბიუროს ყოფილი მდივანი ლ. ზადვინსკაია) კრებები შემთხვევიდან შემთხვევამდე ეწყობოდა, განხილველად კარ არჩევდნენ აქტუალურ საკითხებს, საწარმოში სათანადო დონეზე არ იდგა შრომის დისციპლინა, პარტიული ორგანიზაცია ვერ ასრულებდა კოლექტივის მამოძრავებელ როლს. ეს კი, ცხადია, უარყოფითად მოქმედებდა ფაბრიკის სამეურნეო წარმატებებზე.

მოგეხსენებათ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმზე, შემდეგ კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმზე მკაცრად იქნა დაგმობილი სახელმწიფო გეგმების შემცირების მიზნით კორექტირების მაგნე პრაქტიკა. შარშან სწორედ კორექტირების გზით შეამცირეს სახელმწიფო გეგმები თევზჭირის ფლოტის სამმართველომ (დირექტორი ბ. ლომოძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ყ. სიდორენკო), საკონსერვო მრეწველობის კომბინატმა (დირექტორი ი. ჟორდანია, პარტორგანიზაციის მდივანი პ. ორძონაძე), ტრანსფორმატორების ქარხანამ (დირექტორი ა. ჯიჯავაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ო. ჯიქია) და სხვა საწარმოებმა, რომლებმაც სახელმწიფოს დაკარგეს 5 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია. ამ საწარმოებმა წინა წელთან შედარებით შეამცირეს პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპი.

ცხადია, ზოგჯერ კორექტივებისათვის შეიძლება იყოს ერთგვარი ობიექტური მიზეზები, მაგრამ კოლექტივმა თავის თავში მაინც უნდა გამონახოს იმდენი ძალა, რომ სახელმწიფო გეგმა ყველა მაჩვენებლით შეასრულოს. საერთო ეკონომიკურ მაჩვენებლებზე უარყოფითად მოქმედებს ისიც, რომ საწარმოებში ჯერ კიდევ დიდია დენაღობა, ხოლო მეორე ცვლაში დანადგარები ყველგან არ არის დატვირთული.

მეტი მუშაობა გვმართებს იმ ორგანიზაციებში, რომლებიც დასაქმებულნი არიან მომსახურების სფეროში, რა დასამალია, კვლავაც იდგილი აქვს ფასების დამახინჯებებს, მოუმზადებლობას, კომბინაციებს, სხვა ნეგატიურ მოვლენებს.

ეს მათ უფრო საჭიროა, რომ, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცხრე პლენუმზე აღინიშნა, დღის წესრიგიდან ერთი წუთითაც არ იხსნება ნეგატიურ მოვლენებთან და მათს მატარებლებთან პრინციპული და თანამიმდევრული ბრძოლის საკითხი.

ერთ წელზე ცოტა მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა მიხედვით ბათუმის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკის შესახებ“, დადგენილებაში ღრმად არის გაანალიზებული პარტიული კრებების მომზადების საქმეში მიღწეული, განსაზღვრულია უკეთ მუშაობის კონკრეტული გზები, რამაც საშუალება მოგვცა შემდეგ გაგვეუმჯობესებინა პარტიული ორგანიზაციების ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ამ დადგენილების გაცნობასა და ორგანიზაციული ღონისძიებების დასახვას მიეძღვნა ბათუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც შეიმუშავა ორწლიანი გეგმა. შეიძლება ითქვას, რომ პარტიულ ორგანიზაციებში დადგენილების განხილვა მოეწყო მაღალ პოლიტიკურ დონეზე, კრებებზე გამართულ კამათში კომუნისტთა ორმოცი პროცენტი მონაწილეობდა.

ჩვენს მთავარ ამოცანად კვლავაც იმას ვისახავთ, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ კრებების როლი, მისი გაგლენა პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობის ყველა სფეროზე. პარტიული კრება უნდა გადავაქციოთ კომუნისტთა ნამდვილ სკოლად, ღია პარტიულ კრებებზე ფართო მასების მონაწილეობამ, მათმა წინადადებებმა და მხარდაჭერამ კარგი შედეგი გამოიღო.

მუდმივად ვეძებოთ მასებთან მუშაობის პროგრესული გზები და მეთოდები! — ასეთია ამოცანა. თავის მხრივ ახალ ფორმებს პირველადი პარტიული ორგანიზაციებიც იგებენ და პრაქტიკაში ნერგავენ. მაგალითად, ვემთმშენებლები სპეციალურად ახდენენ ბრიგადების, რგოლების, ცალკეულ კომუნისტთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემოწმებას.

პარტიის საქალაქო კომიტეტს მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად პარტიულ აქტივთან მუშაობა მიაჩნია. ამ მიზნით ვაწყობთ მიზნობრივ სემინარებს. პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნების ერთწლიან სკოლაში სწავლობენ პარტიული მშენებლობის აქტუალურ თემებს.

განსაკუთრებული ეფექტი მოგვცა საქალაქო კომიტეტთან შექმნილმა ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის კაბინეტმა, სადაც ყველასათვის ხელმისაწვდომია პარტიული მშენებლობის საკითხებზე გამოფენილი საცნობარო ლიტერატურა. მსურველთ შეუძლიათ ახელმძღვანელონ ან მიიღონ კონსულტაცია, თუ როგორ დაგეგმონ პარტიული ორგანიზაციის მუშაობა, როგორ მოაწყონ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლი, რა უნდა იცოდეს პარტიული ჯგუფის ორგანიზატორმა და ა. შ. კაბინეტში არის პარტიული კრებების ოქმების ნიმუშები, პერსონალური საკითხის განხილვის წესი და სხვა დოკუმენტები. კაბინეტის მუშაობაში მონაწილეობენ გამოცდილი კომუნისტები, პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრები.

ანალოგიური ტიპის კაბინეტები შეიქმნენით 14 მსხვილ პარტიულ ორგანიზაციაში. ისინი მუშაობენ წინასწარ შედგენილი გეგმით, ორგანიზაციულ-პარტიულ და სამეურნეო საკითხებზე ყოველთვიურად ატარებენ სემინარებს, იმუშავებენ რეკომენდაციებს. საქალაქო კომიტეტს შემოღებული აქვს ჟურნალი, სადაც აღირიცხება, თუ პასუხისმგებელნი მუშაობენ რა პრაქტიკული დახმარება გაუწიეს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს.

შევეცადეთ ახალი ფორმა მოგვენახა ინფორმაციის მიწოდებისათვის. ინფორმაციის სეტრატორი პარტიული ორგანიზაციებიდან ყოველი თვის დასაწყისში იღებს ბარათს, რომელშიც აღნიშნულია გაგლილი თვეში ჩატარებული ღონისძიები, პარტიული კრებებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები. ავრეთვე, ბარათში აღნიშნულია თუ რა ღონისძიებებია დაგეგმილი მომდინარე თვეში. ასეთი ფორმა საშუალებას გვაძლევს დროულად გავარკვიოთ თუ რას მივაღწიეთ პირველ რიგში ყურადღება და როგორ დაეხმაროთ ამა თუ იმ პარტორგანიზაციას.

მეათე ხუთწლედის მესამე — გადამწყვეტი წლისათვის ბათუმის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფო გეგმა შეასრულონ 24 დეკემბერს, გეგმის გადამეტებით გამოუშვან 8 მილიონი მანეთის პროდუქცია, ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის წილი აიყვანონ 25 პროცენტამდე. ერთეული მთავარი საბრძოლველია დაჩქარონ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, განაახორციელონ კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, განამტკიცონ სოციალისტური დისციპლინა.

ბათუმელი კომუნისტები პირობას იძლევიან, რომ ენერგიასა და ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა წლევანდელი წელი — ხარისხისა და ეფექტიანობის წელი ახალი, უფრო უკეთესი წარმატებით დაგვირგვინონ.

დ. მანჯგალაძე,

საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

ინფორმაცია

„ნოემბრის დღე“

ფილარმონიის სასტუმრო „ნოემბერში“ გამართა „ნოემბერის“ დღე — დღევანდელი — „ნოემბრისა“ გამოცდილება — „ყველას კეთილისა“. იგი გაზეთ „ტყიბულის“ რედაქციის ინიციატივიდან მოეწყო.

მემონტაჟეებს თავისი მუშაობის გამოცდილებაზე ესაუბრა სანტექნიკურ და სამონტაჟო სამუშაოთა ბრიგადის ხელმძღვანელი ა. მესხი. ნოვატორის მუშაობის ხერხებსა და მეთოდებზე ილაპარაკეს უბნის მთავარმა ინჟინერმა ვ. მარგველაშვილმა, სამუშაოთა მწარმოებელმა მ. მაღლაფერიძემ, მოწინავე მემონტაჟეებმა რ. ბოხელაშვილმა, ბ. გაბადაძემ და სხვებმა.

საქალაქო გაზეთმა „ტყიბულმა“ ვრცელად გააშუქა „ნოემბერის დღის“ ანგარიში.

ბ. ციბაკიძე.

ერგეტის კლუბში

ზუგდიდი. ერგეტის კლუბ-ბიბლიოთეკაში ახლახან მოეწყო თეორიული კონფერენცია თემაზე: „განვითარებული სოციალისტური საზოგადოება და ახალი კონსტიტუცია“. მოხსენებები წაიკითხეს სკოლის დირექტორმა ვ. ჯოლბაიამ, პედაგოგებმა ი. ვეფხვიამ და კ. მამფორიამ.

კლუბში ვიმართა ფერადი კითხვა-პასუხის საღამო.

ბ. ბაბფორია.

აქტუალურ თემებზე

ხელვაჩაური. მახინჯაურის ქართული საშუალო სკოლის ლექტორთა ჯგუფში 12 ლექტორია გაერთიანებული. ისინი ლექციებს უკითხავენ მახინჯაურის კოლმეურნეობის, ბოტანიკური ბაღისა და ხაბეჭოთა მეურნეობის მშრომელებს. სკოლის დირექტორმა ნ. ჯაფარიძემ და მასწავლებელმა ნ. გოგრეშაძემ არაუჯერი ლექცია წაიკითხეს, რომლებიც აქტუალურ თემებს მიეძღვნა.

ვ. ფარხალაძე.

ხელვაჩაურის რაიონი.

განუხრელი აღმავლობის გზით

(დასასრული)

საპასუხო სტატიაში საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. რ. პაპუნიძემ აჭარელ შრომელთა სახელით მხურვალე მადლობა მოახსენა სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის, და პარტიას, მთავრობას, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, ავრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აღუთქვა, რომ აჭარის ახს რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია ყველაგან მთელ ძალ-ღონეს მოახმარენ ბრძოლას იმისათვის, რომ ხორცი შეასხან პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ამოცანებს, რომლებიც ამ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოიყალიბა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

— სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, — თქვა ვ. რ. პაპუნიძემ, — ზედიზედ მეხუთედ აღიარეს ჩვენი სამგზის ორდენოსანი ავტონომიური რესპუბლიკა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად და საქართველოს სს რესპუბლიკასთან ერთად დაჯილდოვეს გარდამავალი წითელი დროშით. ჩვენ კანონიერად ვამაყობთ, რომ აჭარის მრეწველობის მშრომელებმა ვადამდე, 20 დეკემბრისათვის შეასრულეს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ხუთწლედის ორი წლის დავალება. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 22 მილიონ 800 ათასი მანეთის და რეალიზებულია 15 მილიონ 600 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. ამ პეპიოდში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 8,3 პროცენტით გაიზარდა.

თავი ისახელეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმაც. მეათე ხუთწლედის ორი წლის მანძილზე აჭარამ დაამზადა და სახელმწიფოს მიჰყიდა 350 მილიონი მანეთის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რაც 50 პროცენტით სჭარბობს მეცხრე ხუთწლედის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებს. რეკორდული მოსავალი მოიწიეს გასულ წელს აჭარელმა მეჩაიეებმა, მეციტრუსეებმა, მეთამბაქოეებმა, სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მშრომელებმა.

ხუთწლედის მესამე, დამკვიდრებული წელი აჭარაში დიდი შემოქმედებითი აღმავლობის ვითარებაში დაიწყო. მთლიანი პროდუქციის წარმოების მიმდინარე წლის პირველი ორი თვის გეგმა შესრულებულია 101,2 პროცენტით, რეალიზაციისა 101,5 პროცენტით. გეგმის გადაჭარბებით წარმოებულია 715 ათასი მანეთის, რეალიზებულია 926 ათასი მანეთის პროდუქცია.

სოციალისტურ კრებაზე გამოვიდნენ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მეჯინისწყლის კომლეურნეობის მეციტრუსეობის ბრიგადის ბრიგადირი მ. რ. მიქელაძე, ბათუმის გემსაშენებელი ქარხნის მრანდავი ლ. ა. სერგეევი, ოჩხამურის ი. ბ. სტალინის სახელობის საპატიო ნიშნის ორდენოსანი ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე ზ. ე. თევზაძე, შორეული ნოსსობის კაპიტანი ე. დ. თარაბა, აჭარის პროფსაბჭოს მდივანი გ. ზ. კიკნაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანი ა. ა. დისსამიძე, ქედის რაიონის სოფელ წონიარისას კოლმეურნეობის მეთამბაქოე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ა. მახარაძე, ხულოს რაიონის სოფელ ოქტომბრის კოლმეურნეობის მეციტრუსე მ. დ. მელაძე, საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი რ. ჭ. ბერიძე და სხვები.

კრების მონაწილეებმა აფხაზეთის ასსრ მშრომელთა სახელით გულთბილად მიესალმა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მ. ხინობა.

სახალხო კრების მონაწილეებმა დიდი აღმაფოთებით გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს. (საქინფორმი).

საზოგადოება „ცოდნის“ ახალი გამოცემები

ბევრი საინტერესო გამოცემა მიაწოდა მკითხველებს უკანასკნელ ხანს რესპუბლიკურმა საზოგადოება „ცოდნამ“.

ახალ გამოცემათა შორის არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვ. სირაძის ბროშურა „საბჭოთა საქართველო“.

60 სახელოვანი წლის მანძილზე საბჭოთა აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის მიერ სახალხო განათლების, კულტურისა და მეცნიერების დარგში მიღწეულ წარმატებებზე მოგვითხრობენ თავიანთ ნაშრომებში საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტების მდივნები ვ. ხინობა, ვ. პაპუნიძე და ფ. სანაკოევი.

გამოქვეყნდა ი. მიქელაძისა და ვ. ალვაძის ბროშურა „საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა“, ო. ქინწლაძის ბროშურა „სახალხო განათლება საბჭოთა საქართველოში“, ნ. ჯაშის ბროშურა „ესთეტიკა იდეოლოგიურ ბრძოლაში“, დ. პერტენავას ბროშურა „ფიზიკულტურა და სპორტი საბჭოთა საქართველოში“ და სხვ.

მალე ქართველი ხალხი აღნიშნავს ჩვენამდე მოღწეული პიროკელ ლიტერატურული ძეგლის — ი. ციურტაველის „შუშანიკის წამების“ შექმნის 1500 წლისთავს. ამ ძეგლის შესახებ მოგვითხრობს რ. ბარამიძე თავის ნაშრომში „შუშანიკის წამება“. (საქინფორმი).

ВРОБЛЕМЕБИ. ВОСАЗРЕБАНИ

მხოლოდ დაპირებები...

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას სახელმწიფო დიდ ყურადღებას უთმობს. როგორც ცნობილია, ამის შესახებ საქმიანად იმსჯელა და საჭირო ღონისძიებები დასახა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმმა.

სასიკეთო შედეგები, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის ცოტა რამ როდი გაკეთდა გეგეჭკორის რაიონში. შედიხართ რაიონის ცენტრში, თვალს ხვდება ორსართულიანი მომინული შენობა, რომლის ფირნიშს ამშვენებს ასეთი ნაწერი: „ოქროს ხელი“. ეს საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატია. აქ მუშაობენ „საპატიო ნიშნის“ ორდენებით დაჯილდოებული ხელოსნები ო. სილაგავა და ო. ჯანაშია, რომელთა ნახელავი მოსწონთ მომმბარებლებს, აგრეთვე შრომის მოწინავე ადამიანები — ხელოსნები ვ. ფირცხალავა, ზ. წულაია, შ. სიკეა, შ. ქიქავა და სხვები. მათი მეთაურია კარგი სპეციალისტი ა. შალამბერიძე. კომბინატის საგერავალო სამაქრო ყოველთვიურად 3 ათასზე მეტი მანეთის შეკვეთებს ასრულებს. კარგ მომსახურებას უწევს მოსახლეობას. ეს „ოქროს ხელის“ ავტორიტეტზე მეტყველებს.

მომსახურების კარგ მაგალითებს იძლევიან ნაგვიანელი და ბანანელი ხელოსნები. მაგრამ ამ რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების დღეგანდელი დონე, კერძოდ ობიექტების ქსელი ვერ აკმაყოფილებს სოფლის გაზრდილ მოთხოვნებს. მათი უმეტესობა მოუვლელია, თანაც კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს, არა აქვთ გათბობა, ზამთარში იქ კაცს არ დაედგომება. ასეთი პირობებში საკვირველი ის გახლავთ, რომ რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შენობების 11 ოთახი სხვა უწყებებსა და ორგანიზაციებს უკავიათ.

ვინც ამ რაიონსა და მის მთაგორიან სოფლებს იცნობს, იცის, რა ერთგულად იბრძვიან იგი პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესრულებისათვის. ამას ადასტურებს სახელოვან გეგეჭკორულ მეჩაიეთა წლეულანდელი წელილიც — 11 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. რაიონის მოსახლეობა ღირსია გაცილებით უკეთესი საყოფაცხოვრებო მომსახურებისა. ამას კი ორი პრობლემა განსაზღვრავს — საჭირო ტექნიკით აღჭურვილი შენობები და კადრები. რაიონის ხელმძღვანელებთან საუბრისას აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს გეგეჭკორში არც ერთი სახის სამომსახურო ობიექტი არ აუშენებია. დავინტერესდით, რას ფიქრობენ სამინისტროში ამ საკითხების გადასაწყვეტად, რა გეგმები და ღონისძიებებია დასახული. ვესაუბრეთ მინისტრს ამხ. ვ. სობოლევს, აქ არაორაზროვნად ითქვა: სამინისტრო მშენებლობაში უპირატესობას მთის ზონის რაიონებს ანიჭებსო. გარდა ამისა, იგი მშენებლობის თანხებს, რომლის მთავარი წყაროა მოგებიდან მიღებული სახსრები, მორიგეობით უნაწილებს სხვა რაიონებსაც, მაგრამ ეს აშკარად ვერ უზრუნველყოფს გაფდებული ამოცანების გადაწყვეტას. გათვალისწინებულია 1979 წლისათვის გეგეჭკორში 50 ხელოსნისათვის აშენდეს ერთი საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი.

ვიდრე ეს დაპირება თუ ჩანაფიქრი განხორციელდებოდეს, გეგეჭკორელი ხელოსნები ისევ „ძველებურად“ იმოქმედებენ... თქმა კიდევ რომ აშენდეს, ერთი სახლი „ამინდს“ ვერ შექმნის. გეგეჭკორში არ არის ქორწინების სახლი, ჰიგიენის სალონი, არსებული ატელიე უვარგისია. სანტარიული წესრიგიც იმდენია იმის გამო, რომ ცენტრი და ბინა შემოგარენი მოკლებულია კანალიზაციას.

ვის უნდა დაეკისროს სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობა? — ამაზე საათანადო პასუხი გასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმმა. „პრავდის“ 1977 წლის 8 თებერვლის მეთაური წერილში („ბენი ზრნნეა საყოფაცხოვრებო მომსახურებას!“) აღინიშნული, რომ „კარგი მაგალითი გვიჩვენეს იაროსლავლის ოლქის ტანფოლმა და სამეურნეო ორგანოებმა, რომლებმაც შეძლეს საყოფაცხოვრებო ქსელის მომსახურებასა და გაფართოებაში ჩაებათ ქარხნების, ფაბრიკების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ძალები“. სამინისტროში გეგეჭკორის ქრასნოდარის მხარის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსის ი. ბაბიჩეინის საინტერესო სტატია („ურნალი „სლუჟბა ბიტა“ № 6). ავტორი წერს, რომ „მარტო კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და საწარმოო ორგანიზაციები აშენებენ და გამოყოფენ საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის საჭირო 60 ათას კვადრატულ მეტრ საწარმოო ფართს“, რაც, როგორც სამინისტროში გვითხრეს, თითქმის თბილისში არსებული ამ სახის სამომსახურებო ფართის ტოლია. ეფიქრობთ, კრასნოდარელთა და იაროსლავლელთა ამ გამოცდილების გაცნობას ორგანიზაცია უნდა გაუკეთოს ამავე სამინისტრომ.

ჩვენში ამ სახის მშენებლობაში იგრძნობა სასოფლო-სამეურნეო ორგანოების გაუბედაობა. გეგეჭკორში კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ხალისით აშენებენ სკოლებს, კლუბებს, გზებს, მაგრამ საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაზე ცოტას ფიქრობენ.

მართლაც, სოფელში ბევრია გასაკეთებელი. როგორც შევიტყვეთ, კრასნოდარელ საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგის მუშაკები მიზნად ისახავენ მხარის სოფლების თითოეული მცხოვრების მომსახურების დონე გაუტოლონ მხარის ცენტრის თითოეული მცხოვრების მომსახურების დონეს. გეგეჭკორელებიც ასეთივე ამოცანას უნდა ისახავდნენ. არა და სოფელში ახალგაზრდობა არ ჩერდება, სოფელი კი ადამიანებით არის ლამაზი და ღონიერი, სოფელშიც უნდათ ყველაფერი ის, რაც ქალაქელებს აქვთ.

ძირითადად კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უნდა იკისრონ სოფლად ობიექტების მშენებლობა, ან გამოყონ სათანადო ფართი აშენებული შენობიდან. ამით კარგი საქმე გაკეთდება. სამინისტროში მხარს უჭერენ იმ აზრს, რომ ახალი ფორმობები იჭარით გადაეცეთ რაიონების მოსახლეობის მომსახურების სამმართველოებს.

საყოფაცხოვრებო მომსახურების პრობლემათა შორის ყველაზე მეტად მწვავედ დგას კადრების მომზადებისა და სოფლად მათი შენარჩუნების პრობლემა. სამინისტრომ აკრძალა ადგილებზე კადრების საზოგადოებრივ საწყისებზე (უხელფასოდ) მომზადება, რამაც, როგორც მასალები მოწმობს, არასასურველი ფორმა მიიღო. გეგეჭკორის რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შარშან კადრების ხელფასიანი მომზადებისათვის გამოყოფილი ჰქონდა 1.800 მანეთი.

დამრიგებლობა შრომის ა ა ბ ი ა ნ ი ა ნ ი ა ნ

 შეხვედრა „კომუნისტის“ რედაქციაში

შრომითი დიდების გზით



წლევანდელი წელიწადი გადამწყვეტი იქნება, ხოლო მომავალი — დამამთავრებელი, — კისრულობენ ნია-გრუზინსკაიას მუშებლები.

საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობის ტრიბუნიდან ითქვა:

ნია-გრუზინსკაია საბჭოთა საქართველოს კომკავშირის მოქალაქეობრივი და შრომითი გმირობის ხელქვეშილ ქალად გადაიქცა. იქ, სადაც ლენინდარული ციმბირელი პაპა — ნესტორ კალანდარიშვილი თავის თანამებრძოლებთან ერთად იარაღით ხელში პარტიზანული გილიკებით გვიკაფავდა მომავლის გზას, ახლა ახალგაზრდობის შრომითი დიდება ჟღერს.

რამდენიმე კვირაც, და სამი წელიწადი გახდება მას შემდეგ, რაც ქართველ მშენებელთა რაზმი მძიმე სამშენებლო ტექნიკით შეიარაღებული შორეული ციმბირის ტაიგაში — მდინარე ნიახ ნაპირებზე ჩავიდა.

ქართველი მშენებლები ერთ-ერთი პირველი იყვნენ იმ მამაც ადამიანთა შორის, ვისაც ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობის დაწყების დიდი პატივი ხვდა წილად და არნახულ სიძნელეთა გადალახვაც მოუხდა.

ბამელ ახალგაზრდა მშენებლთა თავდადებას დიდი შეფასება მისცა საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობამ. ყრილობის ტრიბუნიდან ნია-გრუზინსკაიას საქართველოს კომკავშირის მოქალაქეობრივი და შრომითი გმირობის ხელქვნილი ძეგლი უწოდეს.

საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა ბამელ მშენებელთა ერთი ჯგუფი. ისინი დედაქალაქის ბევრ დაწესებულებას და ორგანიზაციას ესტუმრნენ და შეხვედრები გაართვეს. სახელოვანი მშენებლები გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციასაც ეწვივნენ. ეს მასალებიც მათთან საუბრის ნაუოფია.

ნია იზრდება, შენდება!

ციმბირი მკაცრი მხარეა. სუსტი ადამიანი იქ ვერ იარსებებს, არც ორგული ადამიანები უყვარს მას, მხოლოდ იმათ უხსნის თავის უმდიდრეს წიაღს, ვინაც რკინის ნებისყოფა აქვს და თავისი საქმე უსაზღვროდ უყვარს. დღეს შემიძლია პირდაპირ ვთქვა, რომ საქართველოს კომკავშირმა და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ ამ სამი წლის წინათ ბამზე გასაგზავნად ნამდვილად საუკეთესო კოლექტივს მისცეს რეკომენდაცია. „საქბამმშენის“ კოლექტივის ძირითადმა ბირთვმა ძნელ გამოცდას გაუძლო, სამშობლოს დავალებას ასრულებს და ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ საქართველოს სადიდებლად შორეულ ტაიგაში ნაგებ ნაკვალევი — მკვიდრად ნაგები დასახლება.

ნია-გრუზინსკაია ღღეს უკვე ნამდვილი დაბაა თავისი რუსთაველისა და თბილისის ქუჩებით, ორ და ოთხსართულიანი უკვე აგებული თუ მშენებარე აგურის სახლებით, კლუბებით, სპორტული დარბაზებით, სახერხი ქარხნით, ბიბლიოთეკით, სასადილოებით, მაღაზიებით...

სამართლი გითხრათ, ხანდახან არც კი მჯერა, რომ ყველაფერი ეს ამ სამ წელიწადში მოვასწარით. ჩვენ ხომ აქ სრულიად უკაცრიელ ადგილზე მოვედით, კარვების დასადგმელი ადგილიც კი ჩვენვე გავკაფეთ ტაიგაში. მაგრამ როცა ამაზე ვფიქრობ, მაშინვე მახსენდება ის დიდი მზარდაჭერა, ის დიდი სიყვარული, ის დიდი სითბო, რაც საერთოდ საბჭოთა ხალხმა ბამის მშენებელთა მიმართ და განსაკუთრებით ქართველმა ხალხმა ჩვენდამი გამოიჩინეს. მახსენდება ის ყოველდღიური ზრუნვა, რომელსაც ჩვენდამი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთავრობა იჩენდნენ და იჩენენ.

სიამაყით მინდა აღვნიშნო ერთი რამ: არ არსებობს რესპუბლიკაში სამინისტრო, უწყება, ორგანიზაცია ან დაწესებულება, რომ მისთვის რაიმე თხოვნით მიგვიმართოს და უმალ არ დაგვხმარებოდეს.

სწორედ ამ დიდმა დახმარებამ, უყრადღებამ და სიყვარულმა აუმაღლა თითოეულ ნიელ მშენებელს პასუხისმგებლობის გრძნობა, გაუთავეცა ენერგია, რომ პირნათლად შეესრულებინა თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. ჩვენ მოკლე ხანში შევძელით საერთო საცხოვრებლების, სასადილოს, დამხმარე ნაგებობების, სახერხი ქარხნის, ვერტმფრენის მოედნის აგება, საკუთარი პროექტით და ძალებით გავმართეთ „ქუჩებიც“ და მისასვლელი გზებიც და დროულად მოვუმზადეთ საფუძველი კაპიტალურ მშენებლობას — მეტად პასუხსაგებ საქმეს.

და ღღეს უკვე ციმბირის მკაცრი ყინვების დროსაც წარმატებით განვაგრძობთ აგურის სახლების მშენებლობას. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ახლაც მეტად დიძაბული, პასუხსაგები პერიოდი დაგვიდგა. წლეულს ძირითადად უნდა დავამთავროთ საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. აგურის ექვსი სახლი (ორ და ოთხსართულიანი) უკვე მზად არის, ოთხი სახლის მშენებლობას განვაგრძობთ...

საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობის მუშაობაში ბამელი მშენებლებიც მონაწილეობენენ. ეს დიდი პატივი იყო ჩვენთვის, „საქბამმშენის“ ახალგაზრდები ამ ყრილობის შესახებ ადრე გაშლილ შეჯიბრებაში იყვნენ ჩაბმული და ყრილობის უპატაკეს, რომ წარმატებით გაანადღეს ნაკისრი ვალდებულება — საწარმოო კომუნიკაციების „ნაყოფად“ დაბის ტერიტორიაზე შეასრულეს 400 ათასი კუბური მეტრი მიწის სამუშაოები, მომეჩინენ იყენებდნენ ბეტონის მიწის ასაფთქებელ მასალებს, ძმაკაცურ მეჯანმბეს... მათ ყრილობას უპატაკეს, რომ „საქბამმშენის“ კოლექტივმა გაიმარჯვა ბამის დასავლეთ უბნის სამშენებლო ორგანიზაციებს შორის დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის შესახვედრად გაშლილ შეჯიბრებაში, პირველი ადგილი დაიკავა და გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა, რომ დაბა ნია-გრუზინსკაია საუკეთესო საცხოვრებელ დასახლებად ცნეს ბამის დასავლეთ უბანზე...

ჩვენ, ყრილობის მონაწილენი, სიამაყით ვისმენდით იმ დიდ შეფასებას, რომელიც ყრილობის ტრიბუნიდან მისცეს ჩვენს შრომას. ეს შეფასება კიდევ უფრო გაადვილებს ჩვენს შეჯიბრებას ნიაზე მშენებლობის ვადამდე დამთავრებისათვის. **ახლახან ჩვენმა კოლექტივმა გადაწყვიტა, რომ წლეულს მხოლოდ დამკვრელურად იშრომოს, მარაგნამეტი შექმნას და მშენებლობა გაახად მოლიანად, ერთი წლით ადრე, დაამთავროს.**

ნიელ მშენებელთა დღეანდელი შრომა იმ დიდი შემოქმედებითი მუშაობის ნაწილად მიგვაჩნია, რომელიც ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს. ჩვენ გვახარებს რესპუბლიკის გამარჯვებები საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვეცდებით კალაკიც ვიყოთ სოუკუნის დამკვრელურ მშენებლობაზე შრომის ამ დიდი პატივის ღირსი, რომელიც თითოეულ ჩვენგანს რესპუბლიკამ დასდო.

ა. დვალიშვილი,
„ხაქბამმშენის“ უფროსი.

კარგი სკოლა გავიარეთ

პოლიტექნიკური ინსტიტუტი დავამთავრე ლ ბამზე წასვლა გადავწყვიტე. უსაზღვროდ გავიხარე, როცა ქართველ მშენებელთა კოლექტივში მიმიღეს. როგორც ახლა, მაშინაც ჩემი პროფესია ძალიან მიყვარდა და მინდა მადლობა ვუთხრა ჩემს უფროს ბამელ კოლეგებს, რომ ისეთი მოუცლელ, რთულ ვითარებაში, როგორ ვითარებაშიც მთ მაშინ უხდებოდათ მუშაობა, ახალგაზდა მშენებლისათვის მაინც მოიკალეს, დამეხმარნენ, გაეჯერვება შემომსუბუქეს და ჩემი სპეციალობის სიყვარული კიდევ უფრო გამაღრმავეს.

ბამზე ჩვენ კარგი სკოლა გავიარეთ. მკაცრმა სამუშაო პირობებმა, გაჯერვებამ შეგვაკავშირა, ჩვენი პირადი ინიციატივა უფრო აქტიური გახდა. ყველამ კარგად იცის, რომ ბევრი რამ ჩვენმა კოლექტივმა საკუთარი ძალებით გააკეთა და „გარეგანი“ დახმარებას არ დაელოდა, რითაც ცხადია, დიდი დრო მოიგო.

ახლა, როცა ჩვენმა კოლექტივმა მთელი სამუშაოების ძირითადად გაისალ დამთავრების ვალდებულება იკისრა, ჩვენ, ბამის მშენებლობის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გვმართებს, რაც შეიძლება კარგად უნდა მოვაწყოთ შრომა, ყველა უპანზე შევქმნათ ნაყოფიერი მუშაობისათვის საჭირო პირობები, უშუალო მონაწილეობა მივიღოთ ყოველ საკითხის სწრაფად გადაჭრაში.

პირობას ვიძლევით, რომ ამ მოთხოვნებს შევასრულებთ, კვლავაც ვასახელებთ რესპუბლიკას, რომელიც ჩვენდამი დიდ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენს.

ვ. არობელიძე,
სამუშაოთა მწარმოებელი.

საქმე — ულალატოდ!

შეიძლება ოთხ კოლექტივი, რომელსაც არ ჰყავდეს გამცდენები, დამგვიანებლები, ზარმაცები, საქმის მიმფუჩეჩებლები? დიახ, შეიძლება, ასეთი კოლექტივი „საქბამმშენი“.

რა არის ამის წყარო? ჩემი აზრით, ეს, რომ კოლექტივი ნამდვილად რჩეულია, მიგრამ მთავარი მაინც ის მგონია, რომ ბამი საყოველთაო ყურადღებით, მზრუნველობით არის მოსილი, და ამ მზრიე განსაკუთრებით განებივრებული ვართ ჩვენ, ნია-გრუზინსკაიის მშენებლები, საქართველო რომ ოვალს ადევნებს ჩვენს ყოველ ნაბიჯს, იცის ჩვენი ჭირიც და ლხინიც, რომ საქებრ სიტყვებს არ იშურებს, გვეხმარება, ყოველივე ეს ზრდის ჩვენს პასუხისმგებლობას, მეტის კეთების სტიმულს გვატებს.

დგება ბამზე ჩვენი მუშაობის ვადამწყვეტი პერიოდი. მე მეტად სპატეო, მიგრამ ძნელი საქმე დამავალეს. ბენზინსაზიდი მანქანით საწვავს ვეზიდები უსტ-კუტიდან და ზეიოზდნიდან. ამ სანიფათო გზაზე ყოველდღიურად რომ დაგდივარ, არასდროს ერთი წუთითაც არ მიფიქრია იმაზე რომ როგორმე ტვირთი შემმსუბუქებინა, ყოველთვის ვცდილობდი და ვცდილობ რაც შეიძლება სწრაფად ჩამოვიტანო მშენებლისათვის ესოდენ საჭირო ტვირთი.

როცა ბენზინსაზიდს ვიბარებდი პირობა დავდე — შემცველი არ დამჭირდება-მეთქი. მიცემულ პირობას ვასრულებ, შემცველს ბარეში ვმუშაობ. შემცველი კი მეორე უბანზე შრომობს, სხვებს ეხმარება.

ასეთია ჩვენი, „ბამელების“ ცხოვრების წესი.

მ. ბიორგელაშვილი.
მძღოლი.

 სურათებზე: ზემოთ — შენდება ნია-გრუზინსკაია; ქვემოთ — ბამელ მშენებელთა ჯგუფი გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში (მარცხნიდან): უბნის უფროსი ა. ლილუაშვილი, მძღოლები ვ. ნაცვალაძე, ე. გიორგელაშვილი, „ხაქბამმშენის“ უფროსი ა. დვალიშვილი, სამუშაოთა მწარმოებელი ვ. არობელიძე, ინჟინერები ზ. მეტონიძე და ს. წოწორია.

ფ. ბენზბურგის და ბ. ბალიბალიშვილის ფოტო.

საერთაშორისო ცხოვრება

ელვა ელვა ელვა

ელვა ელვა ელვა

ბიბლიოთეკა

იტყობინება

ახლო აღმოსავლეთი

საეჭვო მიზნები

ვაშინგტონი, 13 მარტი. (საკადესი). ახლო აღმოსავლეთის პრობლემების თაობაზე გამოსვლისას პრეზიდენტი ჯ. კარტერი შეეხო ხიძნელეებს, რომლებსაც ბევრნი ხედავთ ამ ზონაში. ეს ეხებოდა ბეგინი და სადათი აწყდებიან ხეპარატულ მოლაპარაკებაზე, ამერიკის შეერთებული შტატების უშუალო მონაწილეობით რომ ეწყობა.

მან განაცხადა, რომ ახლა მდგომარეობა ოდნავ გაუარესდა და სამხედრო და პოლიტიკურ კომიტეტებში მიმდინარე მოლაპარაკება შეწყდა. წამოჭრილი უთანხმოებანი ეხება, ერთიდ, სინას ნახევარკუნძულზე ისრაელის აეროდრომებისა და დასახლებების დატოვების საკითხს, ნახევარკუნძულიდან ისრაელის ჯარების გაყვანის ვადებს და ისრაელის მოთხოვნას, რომ ეგვიპტემ არ დაბანაოს თავისი ჯარები სინას ნახევარკუნძულზე მიტლასა და ჯიდის მთის გასასვლელების აღმოსავლეთით.

ჯ. კარტერმა ვიმედოვნა თავისი წინანდელი განცხადება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგია.

მან სცადა გიმარტლებინა ამერიკის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება ისრაელის, ეგვიპტისა და საუდის არაბეთისათვის საბრძოლო თვითმფრინავების ახალი პარტიების მიწოდების შესახებ და თქვა, ეს გადაწყვეტილება უფრო პოლიტიკური მნიშვნელობისაა, ვიდრე სამხედრო. კარტერმა ეგვიპტისათვის თვითმფრინავების მიწოდების განხრახვა იმით დასაბუთა, რომ საეჭვოა „წაახალისონ სადათი შეერთებული შტატებისათვის ასეთ უაღრესად ძნიშვნელოვან და ხელსაყრელ მომენტში, როცა ეგვიპტე საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობაზე ხელს იღებს და ამერიკისაკენ შებრუნდა“.

პრეზიდენტის ეს სიტყვები კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ვაშინგტონის პოლიტიკის მიზანია ვითიმოს არაბული ქვეყნები და მოწყვეტოს ისინი ბენეფრიდ მოკავშირეებს სსრ კავშირის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, რომელიც მიზნად ისახავს ახლო აღმოსავლეთის ყოველისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევას.

პრეზიდენტს თავის გამოსვლაში არც კი უხსენებია ჟენევის საზაკო კონფერენცია. ამასთან დაკავშირებით მომიმხილველნი სვამენ კითხვას: ვითომ სანდოა ამერიკის შეერთებულ შტატებთან მიღწეული მორიგება? საბჭოთა კავშირ-ამერიკის 1977 წლის 1 ოქტომბრის ერთობლივ განცხადებაში ახლო აღმოსაღლეთის შესახებ ხომ პირდაპირ არის აღნიშნული ჟენევის საზაკო კონფერენციის მუშაობის განახლების აუცილებლობა.

ჰ. ასადის განცხადება

დამასკო, 13 მარტი. (საკადესი). როცა საქმე ეხება არაბთა საერთო ინტერესებს, სირია მტკიცე და პრინციპულ პოზიციას იდგამ. იგი წამოჭრილ პრობლემებს განიხილავს არაბთა საერთო ინტერესების თვალსაზრისით და მომავალშიც უარს იტყვის ნებისმიერ გარიგებაზე თუ ის ზიანს მიაყენებს არაბთა უფლებებსა და ღირსებას. ეს განაცხადა სირიის პრეზიდენტმა ჰ. ასადმა პალესტინელ ლტოლვილთა ფედერაციასთან შეხვედრაზე.

მან აღნიშნა, რომ სირიის ხელმძღვანელობა, როცა ახლო აღმოსავლეთის საკითხს მოწესრიგებას ეხება, პირველ ადგილზე აყენებს პალესტინის არაბი ხალხის უფლებებს, ხოლო ისრაელის მიერ ოკუპირებული გოლანის მაღლობის განთავისუფლებას განახილავს როგორც საკითხს, რომელიც ამ მთავარი პრობლემის მოწესრიგების შემდეგ შეიძლება გადაწყდეს.

როცა ლიბანში სამოქალაქო ომის ამბებს შეეხო, ჰ. ასადმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი პროვოკაციულად მოიწყო, რათა ჩაშოეცილებინთ არაბი ხალხის ყურადღება ეგვიპტისა და ისრაელის ჯარების დაშორებრშორების შესახებ სინაის შეთანხმებისათვის. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ხელირთა სიფხიზლე, ვინაიდან რეაქციული ძალები კვლავ ემუქრებიან ლიბანის მოლიანობას.

მოლაპარაკება ბონში

დამთავრდა ინგლისის პრემიერ-მინისტრის ჯ. კალაგენის ვიზიტი ბონში

ბონი, 13 მარტი. (საკადესი). დამთავრდა ინგლისის პრემიერ-მინისტრის ჯ. კალაგენის ვიზიტი ბონში. ჯ. კალაგენი შეხვდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს ჰ. შმიდტს და, როგორც დპას საგენტო აღნიშნავს, აწარმოებდა მასთან მრავალსაათიან მოლაპარაკებას. არ გამოქვეყნებულა არავითარი კომუნიკე და განცხადება ვიზიტის შედეგების შესახებ. მაგრამ აღგილობრივი პოლიტიკური მეთვალყურეებს მიაჩნიათ, რომ ინგლისის პრემიერ-მინისტრმა მოგზაურობა ფედერაციულ რესპუბლიკაში დაკავშირებული. იმასთან, რომ ინგლისი გაფაციცებით ეძებს გამოსავალს ეკონომიკური და სავალუტო-ფინანსური კრიზისიდან. ვიზიტის მიზანი იყო „ლონდონისძიებათა კოორდინირება“ და „შესაბამისი სამოელებების“ გამოძებნა ამ კრიზისის დაძლევისათვის, წერს გაზეთი „ველტ“.

ამავე დროს, წერს „ნოიე ოფერციტუნგი“, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და იაპონიასთან ერთად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ეთამაშა საკვანძო როლი კრიზისთან ბრძოლაში.

ინგლისისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობათა მეთაურებმა განიხილეს ავრეთვე ჰამბურგში 6-7 ივლისს დანიშნული ევროპის გაერთიანებათა სამეწოს სესიასთან, ეკონომიკურ საკითხებზე ბონში იქნა ნაუ ორცხვებში დანიშნული შვიდი უდიდესი კაპიტალისტური ქვეყნის ხელმძღვანელთა ახალ თათბირის მომზადებასთან დაკავშირებული პრობლემები.

„არჩევნების“ ფარსი

სან-ხოსე, 14 მარტი. (საკადესი). ჯარისკაცთა და პოლიციელთა გაძლიერებული რაზმები საარჩევნო პუნქტებთან, დედაქალაქისა და სხვა ქალაქების დაცარიელებული ქუჩები — ასეთ ვითარებაში მიმდინარეობდა გასულ კვირას საკანონმდებლო კრებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების „არჩევნები“ სალვადორში. ხელისუფალთა მრძანებით არმია საბრძოლოდ იყო გამზადებული, რათა არ დაეშვა მოსახლეობის საპროტესტო დემონსტრაციები გათამაშებული ფარსის წინააღმდეგ. წინასწარი მონაცემებით, „გამარჯვება“, როგორც მოსალოდნელი იყო, მოიპოვეს ეროვნული შერიგების მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა, რომელიც გამოხატავს სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის რეაქციული წრეების, მემამულეების, სამხედრო ზედაფენისა და სამღვდელოების ინტერესებს. ოპოზიციის ეროვნულ კავშირს, რომელიც აერთიანებს ქვეყნის მეელ რიგ დემოკრატიულ და პროგრესულ ორგანიზაციებს, რეპრესიების შიშით არ მიუღია მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში.

აქ მიღებული ცნობებით, ამორჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ მონაწილეობდა კენჭის ყრაში. სალვადორელები ბოიკოტს უწევდნენ მმართველი რეჟიმის მორიგ პოლიტიკურ მანევრს, რომლის მიზანია კიდევ უფრო განამტკიცოს ადგილობრივი ოლიგარქიისა და უცხოელი, უმთავრესად ამერიკული მონოპოლიების ბატონობა ცენტრალური ამერიკის ამ ქვეყანაში.

ჯ. ასადის განცხადება

ფოტოობიექტივი ამხილებს



ადამიანის უფლებების დასაცავად

დამთავრდა ადამიანის უფლებათა კომისიის მორიგი სესია

ჟენევაში დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის მორიგი სესია. იგი ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა და მისი დღის წესრიგი უაღრესად ვრცელი იყო: ხუთის მონაწილეებმა განიხილეს ოცდათამდე საკითხი და მიიღეს რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი.

პირველ რიგში კომისიის წევრებმა განიხილეს ისეთი საგანგებო პრობლემები, როგორიცაა ადამიანის უფლებათა ხელმეორე დარღვევა ჩილესა და ისრაელის მიერ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე, მათ შორის პალესტინაში, ავრეთვე აპარტეიდისა და რასობრივი დისკრიმინაციის არაადამიანური პოლიტიკა სამხრეთ აფრიკაში, ამ საკითხების განხილვისას დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლები ცდილობენ დისკუსია სხვა კალაპოტით წარმართათ, მსოფლიოს ამ რაიონებში შეუწყნარებელი მდგომარეობის, სერიოზული ანალიზი შეეცვალათ ფუჭი კამათით. მაგრამ ეს მათ ვერ მოახერხეს.

ხმის დიდი უმრავლესობით სესიის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც დაგმეს ჩილეს სამხედრო ხუნტა ადამიანის უფლებების სისტემატური ხელეობისათვის, ამ უფლებების დაცვის კონსტიტუციური და ყოველგვარი სხვა გარანტიების ლიკვიდაციის, რეჟიმისადმი ოპოზიციაში ყველა ეკვმიტანილნი, ხალხის სასტიკი დევნისათვის. მათ შემფოთება გამოთქვეს იმ ცნობების გამო, რომ ჩილეში უკვალოდ გაქრა ბევრი ნამდვილი პატრიოტი და დემოკრატი და მოითხოვეს დაუყოვნებლივი ინფორმაცია მათ ბედის შესახებ.

კომისიამ გადაჭრით დაგმო ანუსიფონისტური პოლიტიკა, რომელსაც ისრაელი ახორციელებს მის მიერ ოკუპირებულ არაბულ მიწა-წყალზე, და დაახასიათა როგორც სამხედრო დანაშაული და მთელი კაცობრობის აბუჩად აგდება. რაც შეეხება პალესტინის არაბ ხალხს, სესიამ დაადასტურა მისი თვითგამორკვევისა და საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლება. კომისიამ დაბეჭითებით მოუწოდა ყველა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციას პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მეშვეობით გაუძლიერონ დახმარება პალესტინელ ხალხს თავისი კანონიერი უფლებების აღდგენისათვის ბრძოლაში.

სესიის მონაწილეებს წარუდგინეს ფაქტები მდიდარი მოხსენება, სამხრეთ აფრიკაში განუწყვეტლივ არღვევენ ადამიანის უფლებებს. მოხსენებაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ მარტო უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სასატიმროებში წამებისაგან დაიხოცა სულ ცოტა 24 პოლიტიკური პატიმარი და რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, ნამიბიისა და ზიმბაბვეს მკვიდრ მოსახლეობას ძალად ასახლებენ და მათ მიმართ მკაცრ პოლიციურ რეპრესიებს ახორციელებენ. კომისიამ დაგმო როგორც სამხრეთ აფრიკის ხელისუფალთა რასობრივი დისკრიმინაციისა და აპარტეიდის პოლიტიკა, ისე ის დახმარებაც, რომელსაც გარკვეული კაპიტალისტური ქვეყნები და ტრანსნაციონალური მონოპოლიები უწევენ ამ რაიონის კოლონიურ და რასისტულ რეჟიმებს.

მთელი რიგი დღეგანგეების გამოსვლებში გაისმოდა კანონიერი შეშფოთება იმის გამო, რომ დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფო ავლენს ტენდენციას გაძლიერებით ვანავითარონ გამალებული შეიარაღება ადამიანთა მასობრივი მოსპობის ახალი, კიდევ უფრო სასტიკი და მომაკვდინებელი ნეიტრონული ბომბისმაგვარი საშუალებების შექმნის გზით. ნეიტრონული იარაღი, განაცხადა, მაგალითად, ბულგარეთის წარმომადგენელმა, საფრთხეს უქმნის ადამიანთა უფლებას იცხოვრონ მშვიდობიანად და უშიშრად, სიცოცხლის წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელ უფლებას. იგი კანონგარეშე უნდა გამოცხადდეს. (საკადესი).

ფოლადი მშვიდობისათვის

და არა ომისათვის

რომელიც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა უახლოეს მომავალში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება შეერთებულ შტატებში მასობრივი მოსპობის ახალი იარაღის — ნეიტრონული ბომბის წარმოებასთან დაკავშირებით. ჩვენ, რუსთაველ მეტალურგებს გვჯერა, რომ პრეზიდენტი სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს.

ჩვენ არ გვინდა ომი, არ გვინდა ტყვია და ცრემლი, უბედურება. ფოლადი, რომელსაც ჩვენ ვამზადებთ, მშვიდობიან მიზნებს ხმარდება, იგი გათავალისწინებულია ნავთობის ბურღვისათვის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნებისათვის, პიდროელექტროსადგურების მშენებლობისათვის. ზეგეგმითი ლითონისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ვმეფდავთ ჩვენი სამშობლოს, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების ნათელ მომავალს. საბჭოთა კავშირმა კვლავ მოუწოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს უარი თქვას ნეიტრონული იარაღის წარმოებაზე, და განაცხადა, რომ მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება ამ საკითხზე. ეს ყველაზე ჰუმანური, კეთილშობილური ნაბიჯია, რომელსაც მხოლოდ მივესალმებით.

ჩვენ დადგენილი უარვყოფთ ამერიკის მხედრიონის ხახიფათო გეგმებს. დაე ასხოვდეთ მოლიტარისტებს, რომ რასაც დასთესენ, ამას მოიმკიან.

ო. ლომიძე,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, სოციალისტური შრომის გმირი.

(საქინფორმი).

ინტერვიუ

ეროვნული ბიბლიოთეკიდან

ინტერვიუ

ინტერვიუ

ინტერვიუ

ხელოვნების ამბები



თეატრალური პრემიერები

● საბოლოო სიტყვა. თქვენზეა ● უსახელო ვარსკვლავი.

თეატრალური პრემიერებით მდიდარია საქართველოს დედაქალაქის ახლანდელი სეზონი. ამ დღეებში თბილისის ა. ხ. გრიბოედოვის სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე გაიმართა პრემიერა სპექტაკლისა „საბოლოო სიტყვა თქვენზეა“ ბულგარელი ავტორის გ. დანაილოვის პიესის მიხედვით.

სპექტაკლი დადგეს თეატრის მთავარმა რეჟისორმა ა. ტოვსტონოგოვმა და რეჟისორმა გ. ჩერქეზიშვილმა, მხატვარია ტ. პაინე, მუსიკალურად გაფორმა რ. გევენიანმა.

სპექტაკლში როლები შეასრულეს საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტებმა შ. ოფენმ, ა. ლევინმა, მსახიობებმა დ. სიხარულიძემ, რ. ლიტვინოვმა, ლ. გავრილოვმა, ტ. სოლოვიოვმა და სხვებმა.

სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა აკადემიკოსი რეზაუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. ფილიპოვმა, მუსიკალურად — თ. შამილაძემ.

• • •

სურათებზე: გრიბოედოველთა სპექტაკლის სცენა (ზემოთ); ბათუმელთა სპექტაკლის ერთი სცენა, მსახიობები ზ. შილაკაძე (უდრია), ლ. ჯობლაძე (მადმუაზელ კუკუ).

ბ. იუსანოვის, ხ. ალაძლიანის და ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოკორესპონდენტი).

ბრძოლა უფლებათა იქნება

ფეხბურთი

დღეს თბილისში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალურ მატჩში ერთმანეთს ხვდებიან მოსკოვის „დინამო“ და ესპანეთის ქ. სევილიის „რეალ-ბეტისი“.

როგორც ვიუწყებოდით, დღეს თბილისში ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი მოსკოვის „დინამოსა“ და ესპანეთის ქალაქ სევილიის „რეალ-ბეტისს“ შორის. შეგახსენებთ, რომ ესპანეთში მოსკოველებმა ურჩგოდ როდი ითამაშეს, თუმცა მატჩი ფრედ (0:0) დამთავრდა და ახლა საბჭოთა ფეხბურთელებს მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ ნახევარფინალში გასასვლელად.

გუშინ სპორტულ ჟურნალისტებს ერთობ დატვირთული დღე ჰქონდათ. ჯერ ბაკო და თბილისის ვაგზალზე დილით მოსკოველ დინამოელებს დახვდნენ, შემდეგ კი საღამოს აეროპორტში ესპანელებს შეეგებნენ. მოუწყო სახელდახელო პრეს-კონფერენციები...

თბილისის ვაგზალზე კორესპონდენტებთან საუბარში მოსკოვის „დინამოს“ უფროსმა მწვრთნელმა ა. სევიდოვმა განაცხადა:

— არ შეიძლება სიხარული არ იგრძნო, როცა ამდენ მასპინძელს ხედავ, ამდენ კეთილმოსურნეს, ყვავილების თაიგულებს. გუნდი შეეცდება არ გაუბედოს თბილისელი მაყურებელი. ჩვენი ამოცანა ერთადერთია — გამარჯვება. მოსკოვის „დინამო“ მოედანზე გამოვა თითქმის იმავე შემადგენლობით, როგორც სევილიაში. ამჯერად მინდორზე ალბათ მახოიკოვსაც იხილავთ. მოთამაშენი თავს კარგად გრძნობენ. უკანასკნელი რეპეტიცია სოხუმში გავმართეთ, როცა ადგილობრივ „დინამოს“ შევხვდით და გავიმარჯვეთ. ამ შეხვედრაში სამოქმედო გეგმა ისეთივე გვქონდა, როგორითაც ესპანელებთან ვაპირებთ თამაშს. ჩვენ ისიც კარგად გვესმის, რომ „რეალ-ბეტისი“ ოღ

ად არ დათმობს პოზიციებს, ამიტომ „დინამო“ შეეცდება რაც შეიძლება უკეთ და სრულად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები.

თბილისს აეროპორტში მასპინძლები მცირე ხანგამოშვებით ორ თვითფრინავს დახვდნენ: ერთმა ვერ დაიტია სევილიის „რეალ-ბეტისის“ გუნდი და ესპანელი ქომაგები. ღამით მესამეთი ტურისტების კიდევ ერთ ჯგუფს მოელოდნენ. ჟურნალისტებმა სევილიელთა. გუნდის უფროს მწვრთნელს რაფაელ ირიონდოს მიმართეს. მოგუსმინოთ მას:

— სევილიაში მოსკოვის „დინამომ“ დიდი შთაბეჭდილება დატოვა. დინამოელებმა ლამაზად და კარგად ითამაშეს. რაც შეეხება ჩვენს საშინაო საქმეებს, მაინც და მაინც კარგად ვერ არის. ამ სეზონის ბოლო ორი მატჩი წავაგეთ „ლას-პალმასთან“ ანგარიშით 1:2, ხოლო განვლილ კვირადღეს — „სალამანკასთან“ — 0:2. თბილისში ჩვენ ოდნავ გადალახოლისებული შემადგენლობით ითამაშებთ. ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელი კაბეზასი კარგა ხნის ავადმყოფობის შემდეგ თავის პირველ მატჩს სწორედ მოსკოვის „დინამოსთან“ ჩაატარებს. რა შედეგით დამთავრდება ჩვენი განმეორებითი შეხვედრა, ამის თქმა ძალიან ძნელია. მგზავრობამ ფეხბურთელები ერთობ დაქანცა. მატჩამდე მეგობრებო, დაე გიმარჯვოს უძლიერესმა!

გეოგრაფიული ცნობა

სევილია

სევილია სამხრეთ ესპანეთის ქალაქია, სევილიის პროვინციის ადმინისტრაციული, ხოლო ანდალუზიის ოლქის ისტორიული ცენტრი. სევილია დიდი სავაჭრო-სატრანსპორტო და სამრეწველო ქალაქია. მოსახლეობის რიცხვით (400 ათასამდე) მეოთხეა ქვეყანაში. იგი მდინარე გვადალკივერზე მდებარეობს ატლანტის ოკეანის სანაპიროდან 87 კილომეტრის დაშორებით.

სევილია (უძველესი სახელწოდება — ისპალისი) დაარსებულია ფინიკიელთა კოლონიზაციის ეპოქაში (მე-8 საუკუნე ჩვენს ერამდე).

სევილია ესპანეთის მუშათა კლასის ბელადის ხოზე დიასის სამშობლოა. ქალაქში მრავალი სახელგანთქმული არქიტექტურული ძეგლია. სევილიაში დაიბადნენ დიდი ესპანელი მხატვრები ველასკესი და მურილიო.

წყალბურთი

ნაგებაც, მოგებაც, ფრეც

ტაშკენტსა და ხარკოვში მიმდინარეობს წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მატჩები. თბილისის დინამოელები ასპარეზობენ ტაშკენტში. მათ უკვე სამი მატჩი გამართეს. დინამოელებმა პირველი შეხვედრა წაიგეს, მეორე მოიგეს, ხოლო მესამე ფრედ დაამთავრეს. აი, შედეგებიც: „დინამო“ (ლვოვი)-„დინამო“ (თბილისი) — 6:5, „დინამო“ (თბილისი)-კკფ (ბაქო) — 7:6, „დინამო“ (თბილისი)-„მოსკვიჩი“ (მოსკოვი) — 4:4. თბილისელები ტაშკენტში კიდევ ორ მატჩს გამართავენ: მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდთან და ადგილობრივ „მეხანტანთან“. დასარჩენი შედეგები ასეთია:

ტაშკენტი. „მეხანტი“-უნივერსიტეტი (მოსკოვი) — 5:5, კკფ-„მოსკვიჩი“ — 4:4, „მეხანტი“-„დინამო“ (ლვოვი) — 4:4, უნივერსიტეტი-„მოსკვიჩი“ — 4:4, უნივერსიტეტი-„დინამო“ (ლვოვი) — 13:1, „მეხანტი“-კკფ — 7:7;

ხარკოვი. „დინამო“ (მოსკოვი)-„დინამო“ (კიევი) — 7:5, სკიფი (მინსკი)-ცსკ ვმფ (მოსკოვი) — 3:8, „ლოკომოტივი“ (ხარკოვი)-„დინამო“ (ალმა-ათა) — 6:6, ცსკ ვმფ-„დინამო“ (კიევი) — 4:4, „დინამო“ (ალმა-ათა)-„დინამო“ (მოსკოვი) — 4:5, „ლოკომოტივი“-სკიფი — 9:7, „დინამო“ (ალმა-ათა)-„დინამო“ (კიევი) — 6:6, „დინამო“ (მოსკოვი)-სკიფი — 7:4, ცსკ ვმფ-„ლოკომოტივი“—6:3.

დარჩა ორი ტურნირი

დიდ საერთაშორისო საკალათბურთო ტურნირზე, რომელიც ქ. ბუგროინოში (ბულგარეთი) ტარდებოდა, ბოლო ტურიც მეტად მშვიდობიანი აღმოჩნდა — ხუთი პარტია ყაიმით დამთავრდა: ბირნი-კარპოვი, ტალი-მაილსი, სპასკი-ჰიუბნერი, ვუკიჩი-ტომანი, ჰორტი-ბალაშოვი. მხოლოდ ლარსენმა და ლუბოევიჩმა დაარღვიეს „მშვიდობიანი“ განწყობილება, მათ შესაბამისად დაამარცხეს პორტაში და გლიგორიჩი, ბუკიჩიკოვის შეხვედრა გადადგა.

ტურნირის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე წინ არის სასაკი— 8,5 ქულა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩებიან კარპოვი და ტომანი.

ლიდერია ნოდა გაურინდაშვილი

ბელგრადში მიმდინარე ქალთა საერთაშორისო დღიადმი მიძღვნილ დიდ საკალათბურთო ტურნირში გათამაშდა ოთხი ტური. მსოფლიოს ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა გადადებული პარტიაში დაამარცხა კოვანჯეზი (იუგოსლავია) და სათავეში ჩუდგა გათამაშების ცხრილს. მას 3,5 ქულა აქვს ოთხიდან.

ექერანი

ეს ამ ამოწსნა

„კომუნისტის“ 15 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული ფაზლების ასწლიანი ამოცანა შემდეგნაირად ხსნება: 1. ლა3! კ:16 2. ლb2.

ვიკვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა გამოგვიგზავნა სწორი ამოხსნა: გ. ელიოსიძე (წყალტუბო), გ. ნადირაძე (ვორი), ს. სირბილაძე, ვ. შენგელია (ორთვე ქუთაისი), მ. კორძაძე (თელავი), გ. ტყეიბუნავა (ცხაკაია), ვ. ჯანაშია (ვეტერინარული რ. დიდებულიანი), ა. ქართველიშვილი (ხაშური), ი. წოტაიშვილი (ზუგდიდი), ო. სეფიაშვილი (ყვარელის რ. გიგაზი), ვ. ბიჭიკაშვილი (ასპის რ. ხოვლე), გ. ტურაშვილი (ლაგოდეხი), მ. ქვეშელაშვილი (რუსთავი), დ. ხიხარიძე, ფ. კოკლამბაზაშვილი, თ. შანიძე, ესმა და ავთო ლიტასაშვილები, ს. ბაიდაშვილი, გ. თოდუა, ა. ანდიაშვილი, ზ. ჯიმეეი, გ. გოგიაშვილი (ყველა თბილისი).

ა. ჯაფარიძე

ა. ჯაფარიძე (1898-1931) — ცნობილი სამეცნიერო მოღვაწე, ფიზიკოსი, ინჟინერ-ელექტრიკოსი, ინჟინერ-ენერგეტიკოსი, ელექტროტექნიკის ინსტიტუტის ორგანიზატორი, ელექტროენერგეტიკის კათედრის პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერების დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. ალექსი სიმონის ძე ჯაფარიძე.

ა. ჯაფარიძე დაიბადა 1898 წელს თბილისში. ქუთაისის ქართული გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1919-1921 წლებში იგი სწავლობდა თბილისის მიწსახკომთან არსებულ სასოფლო-სამეურნეო კურსებზე, შემდეგ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფაკულტეტზე.

სხვადასხვა დროს მუშაობდა სადახლოს საბჭოთა მეურნეობაში და აჯამეთის, სიღნაღის სადაურის დირექტორად. 1932 წელს ა. ჯაფარიძე გადაიყვანეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ქსელის მეთოდიკური სექტორის ხელმძღვანელად, ორი წლის შემდეგ კი სახელმწიფო ჯიშთმოგიზდის ქსელის საქართველოს ფილიალის დირექტორად.

ა. ჯაფარიძე 1939 წლის თებერვლიდან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცენარეობის კათედრის ასოცირებული პროფესორი, 1929-1931 წლებში ა. ჯაფარიძე შემოქმედებითი მივლინებით იმყოფებოდა მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში. პარალელურად მუშაობდა ვილიამსისა და პრიანიშნიკოვის ლაბორატორიებში, ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის საცდელ ნაკვეთზე და ლენინგრადის მემცენარეობის ინსტიტუტში. მემცენარეობაში მიღწევებისა და საცდელი ხაჭის გასაცნობად მივლინებული იყო ოდესაში, ალექსანდროს ლისენკოსთან.

პროფესორი ა. ჯაფარიძე 80-მდე სამეცნიერო შრომის ავტორია. ა. ჯაფარიძის უშუალო ხელმძღვანელობით მრავალი ასპირანტი აღიზარდა. მისი უმწიკვლო დამსახურება სამშობლოს წინაშე აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით. შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

ჩვენგან წყვიადა პრინციპული და გულისხმიერი ადამიანი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რომლის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი სტუდენტების, კოლეგებისა და ამხანაგების გულში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სპეციალისტრო; საქართველოს სოფლის მეურნეობის და დამსაზღვრების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი; საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

რედაქტორი
დ. მეჯლიუშვილი.

ტელევიზია

15 მარტი

პირველი პროგრამით

09.00 — „ერემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — კინონარკვევი, 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — მათემატიკა, 17.30 — შეკვეთწყვლოთ გერმანული ენა, 18.00 — მოსწავლეთათვის — „შენთვის, ჩემო სამშობლოო!“, 18.40 — „საერთაშორისო დღიური“, 19.00 — ფეხბურთი ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასზე: „დინამო“ (მოსკოვი) — „რეალ-ბეტისი“ (სევილია, ესპანეთი). მეორე მეოთხედფინალური მატჩი. პირდაპირი რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან (გადაცემა ცენტრალუნა ტელევიზიისათვის. (ფერადი). შესვენების დროს — კინოჟურნალი, 20.45 — დოკუმენტური ფილმი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, 22.00 — „ერემია“ — საინფორმაციო პროგრამაა (მოსკოვიდან), 22.30 — „სავსტრადო პანორამა“ (ფერადი), 23.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოგზაურობა აჭარაში“ (მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.00 — სტუდენტთათვის — მასალათა გაძლიერება, 18.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.55 — განცხადებები, 19.00 — კონცერტი, 19.40 — მხატვრული ფილმი—„საოცარი ბერიდიეი“ (ფერადი), 22.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ერთი საათი კინოიცვევთან“.

თეატრი

15 მარტი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ილიანტა; შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ნათან ბრძენი; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ეზოში ავი ძაღლია.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობა — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 02004 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14

საკონცერტო დარბაზებში

იმედიანი დებიუტი

საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მორიგი კონცერტი, რომლის პროგრამის ერთ-ერთი ნომერი იყო ახალგაზრდა კომპოზიტორის თენგიზ შავლოხაშვილის ნაწარმოები, ჩვენი აზრით, სასიამოვნო მოვლენაა.

„კონცერტმუკი“ ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის კომპოზიტორის პირველი საორკესტრო პარტიტურა და ამავე დროს პირველი დიდი ფორმის ნაწარმოებია, რომელიც მან ასპირანტურის (პროფესორ ა. მაჭავარიანის კლასი) დამთავრების შემდეგ შექმნა. უნდა აღინიშნოს, რომ ნაწარმოების მხატვრული ღირსებები მისი ავტორის ოსტატობისა და პროფესიონალიზმის მაჩვენებელია, სწორედ „კონცერტმუკით“ იწყებს დამოუკიდებელ შემოქმედებითს გზას თ. შავლოხაშვილი.

„კონცერტმუკის“ აღნაგობა ლაკონიური და მწყობრია. განვითარების ძირითადი ხერხია კონტრასტი. ნაწარმოებში გამოკვეთილად ყალიბდება რამდენიმე თემატურად დამოუკიდებელი, მაგრამ არაკონფლიქტური სფერო, რომელთა შორის აღსანიშნავია ეროვნული ფოლკლორის ტრადიციების გათვალისწინებით აგებული ქორალური ეპიზოდები.

ნაწარმოების წარმატებას დიდად შეუწყვა ხელი მისმა შემსრულებლებმა — დირიჟორმა ჯ. კახიძემ და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტმა ნ. ხუბუტიამ.

კონცერტის პროგრამაში იყო აგრეთვე კლასიკური მეკვიდრეობაც. შესრულდა ბეთჰოვენის IV სიმფონია და V საფორტეპიანო კონცერტი. დიდი კომპოზიტორის ნაწარმოებების შესრულებას ინტერესით შეხვდა ხაზოგადოება.

საკონცერტო საღამოების ხშირმა სტუმარმა, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა ვლ. კრაინევმა კვლავაც შემოიტანა დარბაზში ის საზეიმო განწყობილება, რომელიც ყოველთვის თან ხდავს ბეთჰოვენის დიდებულ მუსიკას საფორტეპიანო კონცერტს,

იმედია, რომ ამგვარი საღამოს პროგრამაში შეტანილი ნაწარმოების ავტორის — ახალგაზრდა ხელოვანის თ. შავლოხაშვილის პირველი საჯარო გამოცდა მომავალი რთული გზის იმედიან დებიუტად გადაიქცევა.

მ. დოლიძე,
მუსიკათმცოდნე.

ახალი კულტურის სასახლე

გაზაფხულისა და ზაფხულის საკურორტო სეზონის წინ მშენებლებმა კარგი საჩუქარი მოუმზადეს სანატორიუმ „სოხუმის“ სტუმრებს, მუშაობა დაიწყო კულტურის სასახლემ, რომელსაც სსრ კავშირის შეთარადებული ძალების 60 წლისთავის აღსანიშნავად „საიუბილეო“ უწოდეს. ეკლერის ქვით, ბაზალტით, მარმარილოთი და გრანიტით მოპირკეთებული შენობა კარგად შეერწყა სანატორიულ-საკურორტო ნაგებობათა არქიტექტურულ ანსამბლს სოხუმის ლაჟვარდოვან სანაპიროზე. კულტურის სასახლის საკონცერტო დარბაზი 630 კაცისათვისაა განკუთვნილი.

სტუმრებს მოემსახურება სალექციო დარბაზი, შრომითი დიდების ოთახები, სადაც გაიმართება მხატვრული თვითმოქმედების წრეების მეცადინეობები, აქვეა ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი.

ახალი კულტურის სასახლე აფხაზეთის კურორტებზე კულტურის კერათა შექმნის პროგრამის მხოლოდ ერთი ობიექტია. ამჟამად ორმოცამდე სანატორიუმსა და დასასვენებელ სახლს უკვე აქვს კეთილმოწყობილი კულტურის სახლები და კლუბები.

(საქინფორმი).

სტუმრად მოდაქალაქში

ბათუმის ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროოთა სამმართველოს სახალხო თეატრის კოლექტივმა რესპუბლიკის დედაქალაქის მაყურებელს გაუცნო თავისი საუკეთესო სპექტაკლები. ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლისა და ლენინის სახელობის [illegible] თეატრის სცენებზე მან წარმოადგინა შ. დადიანის „მზის ჩასვლამდე“ და გ. ტულუშის „საბედისწერო ბილეთი“. ჭიათურელ თვითმოქმედ მსახიობთა ნამუშევარმა თბილისელი სცენის მოყვარულთა მოწონება დაიმსახურა.

(საქინფორმი).

ეს საინტერესოა

ნიას ახალი ბინადარი

ლოგის ბოჩოლა ტაიგმარელებმა იკოვეს. რამდენიმე დღისა იქნებოდა. ახე მოევლინა ნია-გრუზინსკაიას ახალი ბინადარი, რომელსაც მუნეგზლებმა „ირმა“ დაარქვეს.

— „ირმას“ ძიძობა ნია-გრუზინსკაიას რვაწლიანი სკოლის მოსწავლეებმა ითავეს, — ამბობს ამ სკოლის დირექტორი ნ. ფვალიშვილი, — მას საწოვრით კვების ხშირი რეჟიმი დაუწესეს და მალე ფეხზე დააყენეს...

ლოსმა მალე ტანი აიყარა და, ცხადია, ბავშვებს გაუპირდათ მისი რჩენა — ორი თვისა უკვე 9-10 ლიტრ ფხვნილის რძეს სვამდა... ამიტომ „ირმას“ კვება მოელმა დაბამ იკისრა, მოსწავლეებმა მისი კვების მორიგეობის გრაფიკი შეადგინეს.

ახლა ლოსის ბოჩოლა რვა თვისაა, იგი უკვე 170 კილოგრამს იწონის. ნეკერთან ერთად, რომელსაც მას უხვად უზიდავენ მისი გადამარჩენელი ტაიგმარელები, დღეში 18 ლიტრ რძეს მიირთმევს.

ჩვენი ლოსი ფაფრია. იგი მეტად მშვიდი, ჭკვიანი, ცნობისმოყვარე და მხიარული ცხოველია. ძალიან უყვარს დაბის ძველ ბინადარ თხა „პეტიასთან“ და აქაურ ძაღლებთან თამაში, ხშირად მათთან ერთად ისვენებს.

რ. ჭელიძე.

სურათზე: ნია-გრუზინსკაიას სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლე ნინიკო დვალიშვილი და ლოსის ბოჩოლა „ირმა“.

ბ. გგალობლიშვილის ფოტო.

მთვარის სრული დაბნელება

24 მარტს მოხდება მთვარის სრული დაბნელება. ამომავალი მთვარე გამოჩნდება ჰორიზონტის აღმოსავლეთით დაახლოებით 19 საათზე თბილისის დროით. ამ მომენტისათვის იგი უკვე ნაწილობრივ დაბნელებული იქნება. 19 საათსა და 38 წუთზე მთვარე მთლიანად შევა დედამიწის ჩრდილში და დაიწყება მისი სრული დაბნელება. 20 საათსა და 23 წუთზე მთვარე მაქსიმალურად იქნება დაბნელებული. 21 საათსა და 09 წუთზე მთვარე დაიწყებს დედამიწის ჩრდილიდან გამოსვლას და 24 საათსა და 30 წუთზე მთვარის დაბნელება დამთავრდება.

ვ. ჯაფიაშვილი,
აბასთუმნის ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში.

ამინდი თბილისში

ამინდის ბიურო გვაცნობებს: დღეს ქალაქში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, იქროლებს წამში 5-10 მეტრი სიძლიერის ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა 10-12 გრადუსი ხითბო.

განა მარტო ნებისყოფა!..

ბაღ-პისინგვინის ეჭო

ქვირას თბილისი გულთბილად შეეგება ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში გამარჯვებულ დიდოსტატს მაია ჩიბურდანიძეს. დასავლეთ გერმანიის ქალაქ ბად-კისინგენში გამართული დაძაბული ბრძოლების ვნებათაღელვა ჯერ კიდევ არ განელებულა — „კომუნისტის“ რედაქციამ სთხოვა ცნობილ საჭადრაკო მიმომხილველს, მოსკოველ ლიტერატორს ვიქტორ ვასილიევს მკითხველებისათვის გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებები ამ ამაღელვებელი პაექრობის შესახებ, რასაც ქვემოთ ვბეჭდავთ.

ბაღ-პისინგვინის ეჭოს ბოლო ტურ-ნირზე, რომელიც ... ქალაქ ბუგროინოში (ბულგარეთი) ... დინარეობს, მეცამეტე ტური მეტად მშვიდობიანი აღმოჩნდა — ხუთი პარტია ყაიმით დამთავრდა: ბირნი-კარპოვი, ტალი-მაილსი, სპასკი-ჰიუბნერი, ვუკიჩი-ტომანი, ჰორტი-ბალაშოვი. მხოლოდ ლარსენმა და ლუბოევიჩმა დაარღვიეს „მშვიდობიანი“ განწყობილება, მათ შესაბამისად დაამარცხეს პორტაში და გლიგორიჩი, ბუკიჩიკოვის შეხვედრა გადადგა.

ტურნირის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე წინ არის სასაკი— 8,5 ქულა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩებიან კარპოვი და ტომანი.

„კომუნისტის“ 15 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული ფაზლების ასწლიანი ამოცანა შემდეგნაირად ხსნება: 1. ლa3! კ:16 2. ლb2.

ვიკვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა გამოგვიგზავნა სწორი ამოხსნა: გ. ელიოსიძე (წყალტუბო), გ. ნადირაძე (ვორი), ს. სირბილაძე, ვ. შენგელია (ორთვე ქუთაისი), მ. კორძაძე (თელავი), გ. ტყეიბუნავა (ცხაკაია), ვ. ჯანაშია (ვეტერინარული რ. დიდებულიანი), ა. ქართველიშვილი (ხაშური), ი. წოტაიშვილი (ზუგდიდი), ო. სეფიაშვილი (ყვარელის რ. გიგაზი), ვ. ბიჭიკაშვილი (ასპის რ. ხოვლე), გ. ტურაშვილი (ლაგოდეხი), მ. ქვეშელაშვილი (რუსთავი), დ. ხიხარიძე, ფ. კოკლამბაზაშვილი, თ. შანიძე, ესმა და ავთო ლიტასაშვილები, ს. ბაიდაშვილი, გ. თოდუა, ა. ანდიაშვილი, ზ. ჯიმეეი, გ. გოგიაშვილი (ყველა თბილისი).

ბაღ-პისინგვინის ეჭოს ბოლო ტურ-ნირზე, რომელიც ... ქალაქ ბუგროინოში (ბულგარეთი) ... დინარეობს, მეცამეტე ტური მეტად მშვიდობიანი აღმოჩნდა — ხუთი პარტია ყაიმით დამთავრდა: ბირნი-კარპოვი, ტალი-მაილსი, სპასკი-ჰიუბნერი, ვუკიჩი-ტომანი, ჰორტი-ბალაშოვი. მხოლოდ ლარსენმა და ლუბოევიჩმა დაარღვიეს „მშვიდობიანი“ განწყობილება, მათ შესაბამისად დაამარცხეს პორტაში და გლიგორიჩი, ბუკიჩიკოვის შეხვედრა გადადგა.

ტურნირის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე წინ არის სასაკი— 8,5 ქულა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩებიან კარპოვი და ტომანი.

ტაშკენტსა და ხარკოვში მიმდინარეობს წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მატჩები. თბილისის დინამოელები ასპარეზობენ ტაშკენტში. მათ უკვე სამი მატჩი გამართეს. დინამოელებმა პირველი შეხვედრა წაიგეს, მეორე მოიგეს, ხოლო მესამე ფრედ დაამთავრეს. აი, შედეგებიც: „დინამო“ (ლვოვი)-„დინამო“ (თბილისი) — 6:5, „დინამო“ (თბილისი)-კკფ (ბაქო) — 7:6, „დინამო“ (თბილისი)-„მოსკვიჩი“ (მოსკოვი) — 4:4. თბილისელები ტაშკენტში კიდევ ორ მატჩს გამართავენ: მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდთან და ადგილობრივ „მეხანტანთან“. დასარჩენი შედეგები ასეთია:

ტაშკენტი. „მეხანტი“-უნივერსიტეტი (მოსკოვი) — 5:5, კკფ-„მოსკვიჩი“ — 4:4, „მეხანტი“-„დინამო“ (ლვოვი) — 4:4, უნივერსიტეტი-„მოსკვიჩი“ — 4:4, უნივერსიტეტი-„დინამო“ (ლვოვი) — 13:1, „მეხანტი“-კკფ — 7:7;

ხარკოვი. „დინამო“ (მოსკოვი)-„დინამო“ (კიევი) — 7:5, სკიფი (მინსკი)-ცსკ ვმფ (მოსკოვი) — 3:8, „ლოკომოტივი“ (ხარკოვი)-„დინამო“ (ალმა-ათა) — 6:6, ცსკ ვმფ-„დინამო“ (კიევი) — 4:4, „დინამო“ (ალმა-ათა)-„დინამო“ (მოსკოვი) — 4:5, „ლოკომოტივი“-სკიფი — 9:7, „დინამო“ (ალმა-ათა)-„დინამო“ (კიევი) — 6:6, „დინამო“ (მოსკოვი)-სკიფი — 7:4, ცსკ ვმფ-„ლოკომოტივი“—6:3.

ჭადრაკი

... ეროვნული ... ...

**... ... ...